ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

ასოციაციის წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებები

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა კრიზისმა იურიდიული პროფესია მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა, რამაც უარყოფითად იმოქმედა რიგი ადვოკატების ფინანსურ მდგომარეობაზე. იმისათვის, რომ საფრთხის წინაშე არ დამდგარიყო ადვოკატთა ასოციაციის ფინანსური მდგრადობა, შემუშავებულ იქნა წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებები, რომელიც აღმასრულებელი საბჭოს ერთხმივი გადაწყვეტილებით დამტკიცდა და რომლითაც 400-ზე მეტმა ასოციაციის წევრმა ისარგებლა.იხილეთ ბმული: https://bit.ly/2TgA9q5

ვიდეო კონფერენცია - „დისტანციური სასამართლო სხდომები "

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით 2020 წლის 21 მაისს გაიმართა ვიდეო კონფერენცია სახელწოდებით „დისტანციური სასამართლო სხდომები - დადებითი და უარყოფითი მხარეები“. ღონისძიებას უძღვებოდა ასოციაციის თავმჯდომარე - დავით ასათიანი და ადვოკატების მიერ განხილულ იქნა ის პრობლემები თუ გამოწვევები, რომელიც დაკავშირებულია დისტანციური ფორმით სასამართლო საქმისწარმოებასთან. სამუშაო შეხვედრის საფუძველზე შემუშავდა მიმართვა პარლამენტისადმი.
იხილეთ ბმული: https://bit.ly/33X5uo3

გაცნობითი შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ - კელი დეგნანთან

ასოციაციის თავმჯდომარე - დავით ასათიანსა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ - კელი დეგნანს შორის გაცნობითი შეხვედრა გაიმართა.
შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს მიმდინარე და სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები. ელჩმა დეგნანმა ადვოკატთა ასოციაციას და იურიდიულ პროფესიას შემდგომი გაძლიერების პროცესში მხარდაჭერა აღუთქვა.
იხილეთ ბმული: https://bit.ly/2Ccjwq6

ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაცია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 5[1] მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეიმუშავა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სპეციალიზაციის დებულება, შესაბამისი კურსის მოდული, აგრეთვე, ტრენერთა ტრენინგის გზით გადამზადდნენ სპეციალიზირებული კურსის ტრენერები და წარმატებით განახორციელა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში 800-მდე ადვოკატის მომზადება და ტესტირება. იხილეთ ბმული: https://bit.ly/2XLYXs8

ახალი პრო ბონო პროექტი

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ადვოკატთა ასოციაციამ დაიწყო კიდევ ერთ პრო ბონო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სოციალურად მოწყვლადი მარტოხელა მშობლებისთვის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებზე პრობონო უფასო იურიდიულ დახმარებას.

CCBE-ის მორიგი მტკიცე მხარდაჭერა ერთიანი და ძლიერი ადვოკატთა ასოციაციის მიმართ საქართველოში

„ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოების საბჭომ“ (CCBE), რომელიც წარმოადგენს 45 ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციებს და მილიონზე მეტ ევროპელ ადვოკატს, სასამართლო მეგობრის მოსაზრების შემუშავებითა და დამტკიცებით, კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი მტკიცე მხარდაჭერა საქართველოში ერთიანი, ძლიერი და დამოუკიდებელი საადვოკატო პროფესიის მიმართ, როგორც ეს გარანტირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ. იხილეთ ბმული: https://bit.ly/3f4WizU

ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

მნიშვნელოვანი შეხვედრა ბენჩ-ბარის ფორმატის ინსტიტუციონალიზაციასთან დაკავშირებით

საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა შეხვედრა, სადაც საქართველოს სასამართლოს, პროკურატურისა და ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელებმა „იურიდიულ პროფესიათა საკონსულტაციო საბჭოს (ბენჩ-ბარი)“ მუდმივმოქმედი ფორმატის დაარსებაზე იმსჯელეს. აღნიშნულ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, USAID-ის მისიის დირექტორი და USAID/PROLoG-ის ხელმძღვანელი. იხილეთ ბმული: https://bit.ly/3idM5mn

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს დაარსება

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლითაც ოფიციალურად დაარსდა „მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო“ და საფუძველი ჩაეყარა ე.წ. ბენჩ-ბარ ფორმატის ინსტიტუციონალიზაციას. ბენჩ-ბარის ფორმატის მიზანია იურიდიულ პროფესიათა შორის რეგულარული შეხვედრებისა და დისკუსიების გზით მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა და კანონის უზენაესობის განმტკიცება. ბენჩ-ბარის ფორმატის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი მხარდაჭერილია ევროპის საბჭოსა და USAID/PROLoG-ის მიერ. იხილეთ ბმული: https://bit.ly/30x0kwy

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა

პანდემიით გამოწვეული სიძნელეებისა მიუხედავად, ყოველგვარი უსაფრთხოების ნორმების დაცვით წარმატებით ჩატარდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების მორიგი, საგაზაფხულო სესია, რომელზეც ჩაბარების მსურველი ცხრაასზე მეტი აპლიკანტი დარეგისტრიდა. იხილეთ ბმული: https://bit.ly/3klmeL4

ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

სამუშაო შეხვედრა გერმანიის ადვოკატთა ფედერალურ პალატასთან

გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატისა (BRAK) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებითა და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით, კომერციული დავების განხილვის გერმანული მოდელის შესწავლისა და საქართველოს სამართლებრივ სისტემაში მისი მორგების შესაძლებლობის განხილვის მიზნით სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატის წარმომადგენლები.

კორპორაციული შეთავაზება ,,ევექსი" კლინიკებისაგან

ამოქმედდა კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე ასოციაციის წევრთა კორპორაციული შეთავაზებების მიმართულებით. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და ევექსი კლინიკებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ასოციაციის წევრი ადვოკატები ევექსი კლინიკების ქსელში მათზე მორგებული სამედიცინო მომსახურების შეღავათიანი პაკეტით ისარგებლებენ.

სამუშაო შეხვედრები რეგიონში მოღვაწე ადვოკატებთან

29 ივლისიდან 1-ელი აგვიტოს ჩათვლით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორის და იურიდიული დახმარების დირექტორის მონაწილეობით იმერეთის, სამეგრელოს-ზემო სვანეთის და აჭარის რეგიონში მოღვაწე ადვოკატებთან სამუშაო შეხვედრები გამართა.
შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა თანმდევ აქტებში შესატანი ის ცვლილებების პროექტი, რომელიც ადვოკატის როლის და სტატუსის შემდგომ გაძლიერებას ითვალისწინებს. აღნიშნული შეხვდრები მხარდაჭერილია USAID/PROLoG-ის მიერ.

ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

განგრძობადი იურიდიული განათლება

განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ასოციაციის წევრი ადვოკატებისთვის მაისი-ივლისის თვეებში ჩატარდა 48 ონლაინ ტრენინგი.

პროფესიული ადაპტაციის კურსი

პანდემიით განპირობებული სირთულეების მიუხედავად, ონლაინ პლატფორმის დანერგვის გზით წარმატებით განხორციელდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-3 ნაკადის თეორიული კურსი და ამჟამად 250-ზე მეტი პროგრამის მონაწილე გადის სტაჟირებას მენტორ ადვოკატთან.

საკომიტეტო საქმიანობა

დისტანციურ რეჟიმში შეუფერხებლად ჩატარდა ასოციაციის მუდმივმოქმედი კომიტეტების სხდომები.

ეთიკის კომისიის მიერ რეკომენდაციათა გაცემა

ადვოკატების შეკითხვებით მომართვის საფუძველზე ეთიკის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში გაცემული რეკომენდაციები კლიენტებთან, საქმისმწარმოებელ ორგანოებთან, პროცესის მონაწილეებთან და კოლეგებთან ურთიერთობის ქცევის სტანდარტებზე.იხილეთ ბმულზე: https://bit.ly/3gUiMF7



რეგიონული ონლაინ შეხვედრები ადვოკატებთან

ეთიკის კომისიის ბოლო ორი წლის საქმიანობისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტებზე კომისიის პრაქტიკის განხილვისთვის კახეთის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონის ადვოკატებთან კომისიის წევრებმა ონლაინ შეხვედრები ჩაატარეს. შეხვედრების მხარდამჭერია USAID-PROLoG-ი. იხილეთ ბმული:
https://bit.ly/30QM3v2

ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები



ვებინარები სტუდენტებისთვის

საუნივერსიტეტო სწავლების პრაქტიკული კომპონენტის - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკის ფარგლებში, სტუდენტებში პროფესიული ეთიკის საკითხებზე ცოდნის გავრცელებისთვის, ეთიკის კომისიის წევრებმა ჩაატარეს ვებინარები საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-სა და ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. ვებინარების მხარდამჭერია USAID-PROLoG-ი.
იხილეთ ბმული: https://bit.ly/33SDrGd

რეკომენდაციაში N002/20, 15.04.2020 ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ ადვოკატის შეკითხვაზე, ეთიკის კომისიამ იმსჯელა შემდეგ საკითხებზე:

- როდის იქმნება ინტერესთა კონფლიქტი რამდენიმე კლიენტის მიმართ არსებული ეთიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე;
- კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის არსებობის მიუხედავად, რა შემთხვევებშია ადვოკატი ვალდებული შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა;
- რა სტანადრტით უნდა შეფასდეს არსებითი საფრთხე ადვოკატის მიერ, ერთი შეხედვით - prima facie სტანადრტით თუ საფუძვლიანი კვლევის სტანდარტით?

იხილეთ ბმული: https://bit.ly/3gUiMF7